საქართველოს მთავრობის განკარგულება

№977 2016 წლის 30 მაისი ქ. თბილისი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიერ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მიეცეს უფლება ოზურგეთის მუნიციპალიტეტს, „ოზურგეთის მუნიციპალიტეტისათვის საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 16 მაისის №823 განკარგულებით გათვალისწინებული ღონისძიების განსახორციელებლად საჭირო სახელმწიფო შესყიდვები განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, კერძოდ:

ა) დაბა ურეკში, თაყაიშვილის ქუჩის სავალი ნაწილის ასფალტ-ბეტონის რეაბილიტაციისათვის (პირველი ეტაპი) საჭირო ღონისძიებები - 996 943 (ცხრაას ოთხმოცდათექვსმეტი ათას ცხრაას ორმოცდასამი) ლარის ფარგლებში;

ზ) ნატანები-ურეკისა და ჩოლოქი-შეკვეთილის გარე განათების სარეაბილიტაციო სამუშაოები - 173 093 (ას სამოცდაცამეტი ათას ოთხმოცდაცამეტი) ლარის ფარგლებში.

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი